# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## №EU/ADM/ 12

ქ. თბილისი „14“ „02“ 2011 წ.

ერთის მხრივ: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. №23/2. საიდენტიფიკაციო კოდი 211327580, საბანკო რეკვიზიტები: „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი: 220101757. ა/ა №102531545506) მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნ ივანე ყაჭიურის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ: შპს „თეგეტა მოტორსი“ (საქართველო, ქ.თბილისი, დიდმის მასივი. VI კვ. 22/ბ კორპ., საიდენტიფიკაციო კოდი 202177205, საბანკო რეკვიზიტები სს „თიბისი ბანკი“-ს ვაკის ფილიალი, ბანკის კოდი 220101830, ა/ა 24467853) მისი გენერალური დირექტორის ბ-ნ გიორგი მშვილდაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

თანხმდებიან შემდეგზე:

### 1 ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსყიდველი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას ცენტრის კუთვნილი ავტომობილების ავტოტექმომსახურებაზე, ზღვრული თანხით არაუმეტეს 5.000 (ხუთი ათასი) ლარი. შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1.2 ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას.

1.3 შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 ივნისის №21-15-14040/01 წერილის თანახმად, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

### 2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.

### 3 ავტომობილების ჩამონათვალი.

| ავტომობილის დასახელება | რაოდენობა (ცალი) | სახელმწიფო სანომრე ნიშანი | გამოშვების წელი | მწარმოებელი ქვეყანა |
|---|---|---|---|---|
| ვაზ 21214 (ნივა) | 1 | SOD682 | 2006 | რუსეთი |
| ვაზ 21214 (ნივა) | 1 | SOD684 | 2006 | რუსეთი |

### 4 მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ვადის პერიოდში, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან გამომდინარე გაუწიოს მას 1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 10 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში ავტომანქანის დაზიანების სირთულიდან გამომდინარე შეუძლებელია აღნიშნული მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს და შეატყობინოს თუ რა პერიოდში დასრულდება მომსახურების გაწევა.

4.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სერვის ცენტრში.

4.3 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) დღგ-ს გარეშე, სახაქონლო ზედნადები, მომსახურების და გამოყენებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

4.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების მიწოდება. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

## 5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს - ევროკავშირის პროექტის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი ნატო დვალი, რომელიც უზრუნველყოფს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას და გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

## 6 დაზღვევა

6.1 თუ გაწეული მომსახურების შემდეგ გარემონტებული სათადარიგო ნაწილი გამოავლენს დეფექტს მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი დაუყოვნებლივ.

## 7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით მომსახურების სრულად გაწევისა და შემდგომ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 8 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს დროული ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს: შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მოცულობით;

## 9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10 ფორს-მაჟორული სიტუაცია

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10.3 მხარეები არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მათი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე.

## 11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12 ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა.

12.1 მხარეებს არა აქვთ უფლება ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე გადასცენ სხვა მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტა ან პირობების შეცვლა შესაძლებელია მხარეების წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ამასთან რომელიმე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს მინიმუმ ერთი თვით ადრე.

## 13 დამატებითი პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან

### „შემსყიდველის“ სახელით

სსიპ *„საქართველოს განმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“*
მისამართი: ქ. თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი
საიდ. კოდი 211327580
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი „რესპუბლიკა“
ბანკის კოდი 220101757
ა/ა 102531545506

ივანე ყაჭიური
აღმასრულებელი დირექტორი

ბ. ა.

### „მიმწოდებელის“ სახელით

შპს „თეგეტა მოტორსი“
მისამართი: ქ.თბილისი,
დიღმის მასივი, VI კვ. 22/ბ კორპ..
საიდენ. კოდი: 202177205
საბანკო რეკვიზიტები:
„თი ბი სი ბანკის“

ბანკის კოდი 220101830
ა/ა: 24467853

გიორგი მშვილდაძე
დირექტორი

ბ. ა.